



პრსენალი

პრსენალი
გინაქორთუა

№ 17 (86), 21 აგვისტო - 3 სექტემბერი, 2009. სახელმძღვანელო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**ქოსოვო... ერაყი...
აფღანეთის ჯერიკა!**

ბ.ოგ.
**რუსეთის აგრესია
დასავლეთ
საქართველოში**

1425
2009

**ფრინავი
ბრძოლები**

**შეიარაღებული და
შეჯავშნული
„კაბერები“
ქართულ
არმიასში**

**ფასი, რომელმაც
სახელმწიფო პარკანია
შეიქმნა...**





ქოსოვო, ერაყი,
ახლა
ავღანეთის
ჯერიცა...

6



გყვედ ნაგყოვი
ქართველი
ჯარისკაცის
თველით
ღანახული ოვი

7



ვეიცარღეველი
ვეჯავუნული „ჰავერები“
ქართულ სრვიანვი

25

გურინახვი
ახვიანვიღევი



30



ერთი
სეინარის
საგრემლო
ნარსული

15



ქახვი,
როველსახ
გერგანეილს
ჩაქირკვა
უნდოღა

42

სარჩევი



- ქალღმრთელი**
- 4 ახალი ამბები
- მზაღება**
- 6 კოსოვო, ერაყი, ახლა ავღანეთის ჯერია...
- მეგობარი**
- 7 ტყვედ წამყოფი ქართველი ჯარისკაცის თვლით დანახული ომი
- ავიზიტი**
- 10 რუსეთ-საქართველოს ომი:
ავრესია დასავლეთ საქართველოში
- ახსნაშენი**
- 15 ერთი სენიერის საბრძოლო წარსული
- ქართული თეატრის რევიზია**
- 18 TAM-LSA - ახალი ქართული თვითმფრინავის პროექტი
- რევიზია**
- 20 ავკასიური მოვლენების მიმოხილვა...
- საქართველო**
- 22 საქართველოს საგარეო დაზვერვა - მითი და რეალობა
- ინტერვიუ**
- 25 შეიარაღებული შეჯავნული „ჰამერები“ ქართულ არმიამ
- ინტერვიუ**
- 30 მფრინავი ავიამობილები
- საქართველო**
- 36 საავიაციო ქვემეხები და ტყვიამფრქვევები
- საქართველო**
- 42 ჯაცი, რომელსაც გერმანიის ჩაძირვა უნდოდა
- ინტერვიუ**
- 46 300 არავგვლი
- სინაზა**
- 50 იტალიური ავიამობილი **CAVOUR**-ი
- 51 რუსული „ავაქსის“ ჩინური ვერსია
- ქართული**
- 52 არსენალის ვერსია
- სინაზა**
- 53 **BLACKSEAFOR**-ის აქტივობა საქართველოს გარეშე
- არსენალის ინტერვიუ**
- 54 **AH-94 Abakan** - ახალი რუსული ავტომატი - „ქალაქიანოვს“ ზუსტი, მაგრამ კონსტრუქციულად ბევრად რთული

რედაქციის სვეტი

რუსეთის საოკუპაციო ჯარები უკვე კბილებს უღრჭიალებენ არა მარტო ქართველებს, არამედ ოსებსა და აფხაზებსაც.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკომა თავისი სტრატეგიული მიზნებისთვის გამოიყენა სეპარატისტული ცხინვალის და სოხუმის ახლა კი ნელ-ნელა იწყებს მათი შეიარაღებული ფორმირებების დაშლა-განაიარაღებას.

გასაგებია, რომ ცხინვალსა და სოხუმში ფეხმოიდებულ რუს ძალებს არ სურთ ქალაქში შეიარაღებული პირების ნახვა, რომლებსაც თავი ჯერ კიდევ გამარჯვებული ჰგონიათ და არ იციან, რომ მათ ან საბოლოოდ დამორჩილებენ, ან უბრალოდ, განადგურებენ.

ირაკლი კლავაძე
გიორგი შოროშელიანი

ყარაღაბა!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის-დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
17.08.2009

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებძის ქ. №49,
ტელ: 38-37-47

სარედაქციო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvririspalitra.com

კვირნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ისრაელის არმია ტანკების აქტიური დახვის ახალი კოვლაქსი მიიღო



ისრაელის სამხედრო მაღალჩინოსნების განცხადებით, ტანკების აქტიური დაცვის Windbreaker-ების პირველი კომპლექსები მზად არის საბრძოლო გამოყენებისათვის. ისრაელის არმია

უკვე ჩაატარა ამ სისტემების გამოცდა, რომელშიც მონაწილეობდნენ სისტემის დამმუშავებლები და უცხოელი სამხედრო დამკვეთები. კომპლექს Windbreaker-ს შეუძლია

მანქანასთან მიახლოებული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის დაფიქსირება-თვალთვალი და თავისი მოძიწო რაკეტის გაშვება, რომელიც საფრთხის წყაროს ჯავშანტექნიკიდან რამდენიმე მეტრში გაანადგურებს. 2010 წლის ბოლომდე ახალი კომპლექსებით ყველა ახალი ტანკი Merkava აღიჭურვება.

ახალ კომპლექსებზე მუშაობა ისრაელში ლიბანთან ომის შემდეგ დაიწყო, რადგან საბრძოლო მოქმედებების დროს „სესილდაისს“ სარაკეტო შეიარაღებამ ისრაელელთა ზოგიერთი ტანკი მძიმედ დაზარადა.

სხვათა შორის, ისრაელის სამხედრო ჩინოსნებმა 2009 წლის მასში განაცხადეს, რომ კომპლექს Windbreaker-ებით უკვე დაკომპლექტებულია ტანკი Merkava 4-ების პირველი ასეული. ამასთან, ტექნიკის ამ სისტემებით შემდგომი აღჭურვა დამოკიდებული იქნება ფინანსირებაზე, რადგან Windbreaker-ის ერთი კომპლექტი დაახლოებით 150-200 ათასი დოლარი ღირს. სწორედ არასაკმარისი ფინანსირება იყო მიზეზი, რომ ამ პროექტის სრულად რეალიზება ვერ მოხერხდა.

ერაყმა შეკვეთა გაზარდა

ერაყი ადრე შეკვეთილი ექვსიდან დარჩენილ ორ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავს C-130J-30 Super Hercules-ს იყიდის. კონტრაქტი, რომლის ღირებულება დაახლოებით 140 მლნ დოლარს შეადგენს, შეთანხმებულია ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელმძღვანელობასთან.

ერაყის მთავრობამ აშშ-ს ამ შეკვეთით პროგრამა უცხოური სამხედრო მიწოდების ფარგლებში (Foreign Military Sales) 2008 წლის ოქტომბერში მიმართა.

პენტაგონის ინფორმაციით, შეკვეთის თვითმფრინავებს სპეციფიკური კონფიგურაციით მიაწვდიან, მაშინ როცა ადრე შეკვეთილი მანქანები არაერთი განსხვავებულობა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში არსებული თვითმფრინავებისაგან. რით გამოიხატება განსაკუთრებული თავისებურებები, არ ანშაურობენ.

სამხედრო-სატრანსპორტო მანქანები ერაყში პარკში არსებულ სამ თვითმფრინავ C-130E-ს დაემატება. თავის დროზე, ამ თვითმფრინავებს

ამერიკული ავიაცია იყენებდა, ერაყის არმიაში კი სადამ ჰუსეინის რეჟიმის დაზოხობის შემდეგ მიიღო.

თვითმფრინავს C-130J Super Hercules-მა, რომელიც C-130 Hercules-ის ბაზაზე შემუშავებული, პირველი გაფრე-

ნა 1996 წელს შეასრულა. ეს მოდიფიკაცია საბაზოსგან დაგრძელებული ფიურ-ვლავით განსხვავდება. C-130J-30-ს შეუძლია აიყვანოს ბორტზე 128 მგზავრი ან წაიღოს 19, 9 ტონა ტვირთი 5250 კილომეტრზე საათში 670 კმ სიჩქარით.



ინდოეთის არმიამ მიიღო სამხედრო წარმოების პირველი დისტანციურად მართვადი მანქანა, რომელიც გამოიყენება პატრულირებისათვის, ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური იარაღისა და ნაღმების აღმოსაფენად. რუსული წარმოების ქვეითთა საბრძოლო მანქანა BMP-2-ის ბაზაზე შექმნილი პროტოტიპი სამხედროებს გამოსაცდელად უკვე გალაშქრა.

ინდოეთის არმიამ მიიღო სამხედრო წარმოების პირველი დისტანციურად მართვადი მანქანა, რომელიც გამოიყენება პატრულირებისათვის, ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური იარაღისა და ნაღმების აღმოსაფენად. რუსული წარმოების ქვეითთა საბრძოლო მანქანა BMP-2-ის ბაზაზე შექმნილი პროტოტიპი სამხედროებს გამოსაცდელად უკვე გალაშქრა.

სადანვეერო მანქანა აღჭურვილია მართვის სისტემით, რომელიც შედგება ელექტრომექანიკური რეგულატორებისაგან და ოპონატორის მართვის საშუალებებისგან, რომელშიც შედის გადაამცემის გადამართავი, მუხრუჭი, საჭის მართვა და სხვა ელემენტები. მანქანის მიერ გადაცემული ინფორმაცია მომხმარებლის გრაფიკული ინტერფეისის



სამუშაოებით აისახება. ახალი მანქანის შექმნაზე მუშაობს ინდოეთის თავდაცვის ელექტრონიკისა და დამუშავების ორგანიზაციის ერთ-ერთი ქვეყნოვითი (DRDO), რომელიც სპეციალიზირებულია

ქვეითი ვარების ბორბლვან-მუხლუხიანი ტექნიკის შექმნაზე. DRDO-ს წარმომადგენლის თქმით, ეს სახელე შეიძლება პერსპექტიული უკუკაპო ტანკის წინამორბედი გახდეს.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მსოფლიო კრიზისის გამო საერთაშორისო ავიასალონ MAKS-2009-ზე მონაწილეობას არ მიიღებს. აშშ ავიასალონზე მხოლოდ ნაციონალურ ექსპონიციას წარადგენს.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მსოფლიო კრიზისის გამო საერთაშორისო ავიასალონ MAKS-2009-ზე მონაწილეობას არ მიიღებს. აშშ ავიასალონზე მხოლოდ ნაციონალურ ექსპონიციას წარადგენს.

„ამერიკული მხარე ავიასალონის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა, მაგრამ ბოლი ეტაპზე გადაწყვიტა, ავიასალონში არ მიეღო მონაწილეობა“, — განაცხადა ავიასალონის გენერალურმა დირექტორმა.

2007 წელს MAKS-ზე საჩვენებელ ფრენებში F-15-ები მონაწილეობდნენ. მზახვლებს ასევე შეეძლოთ დაეთვალიერებინათ სტრატეგიული ბომბდამშენი B-52. MAKS-2009 პოდმოსკოვში, ვუკუსკოში, 18-23 აგვისტოს ტარდება.

79999

აშშ-ის საზღვაო ძალები ახალ სატვირთო უპილოტო საფრენ აპარატს მიიღებენ

ამერიკულმა კომპანია Kaman-მა კონტრაქტს გააფორმა აშშ-ის საზღვაო-სამხედრო ძალებისათვის უპილოტო უპილოტო შევუდმურენ K-MAX-ის შესაძლებლობების დემონსტრაციის თაობაზე. შეარმოებულს მოუწევს დაუმტკიცოს სამხედროებს, რომ აპარატს შეუძლია ჯარებისთვის ტვირთის მიწოდება ექსტრემალურ პირობებსა და მაღალ სიმაღლეზე.

აპარატმა დაახლოებით 9 ტონა ტვირთი გადაიტანოს 24 საათის განმავლობაში. აპარატის გამოცდა 2009 წლის ბოლის დაიწყება. ეს საფრენები მოითხოვს აშშ-ის საზღვაო ძალების კორპუსის სისტემების მეთაურობამ (Marine Corps Systems Command) ჩამოაყალიბა. ახალ სატვირთო უპილოტო საფრენ აპარატს აღსანიშნავი მომსახურე

კონტინენტის საყოფაცხოვრებო და სამხედრო პროდუქციით მომარაგებისათვის გამოიყენებენ. კომპანია Kaman-ის შემუშავებულია შევუდმურენ K-MAX-ის პილოტირება და ვარაზტიც. ის განკუთვნილია შიდა საკვიდარზე ტვირთების ტრანსპორტირებისათვის და გამოიყენებულია შენეულდული რაოდენობით.

წაროს ინფორმაციით, უპილოტო საფრენი სისტემის შემუშავების სუბკონტრაქტორი იქნება უმსხვილესი ამერიკული ავიასამშენებლო კორპორაცია Lockheed Martin-ის შევუდმურენზე დაამონტაჟებს კორიზონტსმიდმა მონაცემების გადაცემ მწიფობილობას და შეიმუშავებს უპილოტო საფრენი აპარატის მართვის სისტემას.

ამ ორ კომპანიას მოუწევს იმის დამტკიცება, რომ სატვირთო უპილოტო შევუდმურენი შეძლებს სამხედრო პროდუქციის წაღებას 150 საზღვაო მილის (დაახლოებით 28 კილომეტრი) მანძილზე. აშშ-ის საზღვაო ძალების სურთ,



საერთაშორისო გამოფენა 2009 წლის აგვისტოში

კოლოვო, პრაჟი, ახლა ავღანეთის ჯერი...

ამერიკული საზღვაო ქვეითები საქართველოში მოგვიმზადებენ ავღანეთში გასაგზავნ მებრძოლებს, ფრანგები – საფრანგეთში, მაგრამ ვინ განვრთნის ქართულ ჯარს არა მარტო ანტიპარტიზანული ბრძოლებისთვის, არამედ რუსულ ტანკებთან, სადესანტო ხომალდებთან და თვითმფრინავებთან საბრძოლველად?



საქართველოში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები დაბრუნდნენ.

შარშან, ავგისტოს ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, კრწანისის სასწავლო ცენტრში შეიყო ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნეს.

აშშ-ის ხელისუფლების ამ ნაბიჯს თავის მხეში უკნადა, — ავგისტოს ომში საქართველოში შემოჭრილ რუს ოკუპანტებს სადმე მაინც რომ ენახათ ამერიკელი სამხედრო, მიუღ მსოფლიოს მოსდებდნენ, ქართველების გვერდგვეკვდ ამერიკელებიც იბრძვიანო.

ერთი წლის შემდეგ პენტაგონმა საქართველოში 70-მდე საზღვაო ქვეითი გამოგზავნა, რომლებმაც 750-კაციანი მესამე ქვეითი ბრიგადის გაძლიერებული ბატალიონი უნდა გაქრთნან.

ბატალიონი მომავალი წლის დასაწყისში ავღანეთში გაემგზავრება და იქ ამერიკელი მეთაურობით იმსახურებს.

170-კაციან გაძლიერებულ ასეულებს ეო ფრანგი ინსტრუქტორები საფრანგეთში მოამზადებენ. ეს ასეული წლეული, შემოდგომაზე გაემგზავრება ავღანეთში, სადაც საფრანგეთის სამშვიდობო კონტინგენტის შემადგენლობაში იქნება.

საგარეულო, ფრანგულმა მხარემ იმითომ გადაწყვიტა ქართული ასეულის საფრანგეთში მომზადება, რომ საქართველოში არ გამოგზავნა სამხედრო ინსტრუქტორები და კრემლი არ გაიღიზიანებინა.

მართალია, თვითმა სახლმა გამოგზავნა რამდენიმე ათეული სამხედრო ინსტრუქტორი საქართველოში, მაგრამ მანამდე კონსულტაციები გაიარა კრემლთან.

პენტაგონის მაღალჩინოსნები არ ძალავენ, რომ კონსულტაციების დროს ამწვიდედნენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს, წყენ ავღანეთში გასაგზავნ ქართველ სამხედრო დანაყოფებს მხოლოდ ანტიპარტიზანულ მიქმედებებს ვასწავლით. ისეთ მრავალრიცხოვან შეარადებულ ფორმირებასთან, როგორიც, მაგალითად, რუსეთის არმიამ, ბრილის ტაქტიკაში არ ვუარვითებთ, ამიტომაც რუსეთის არაფერი აქვს გასაღიზიანებელი!

ამერიკელთა აზრით, კონსულტაციები შეიძლება მართლაც იქცა კრემლის ერთგვარ დამამშვიდებელ საშუალებად (ან რა აქვს დასაწინააღმდეგებელი იმ ქვეყნის, რომელიც ფაშისტური გერმანიის ნაბიჯებს იმეორებს და მუხობილი ქვეყნის ნაწილობრივ ოკუპაციას ახდენს, როგორც პიტლერი მოიქცა 1939 წელს ჩეხოსლოვაკიაში), მაგრამ ამან შეიძლება ბუკვი ქართველი პარტიოტე (მათ შორის სამხედროებიც) აფიურიავოს.

ავგისტოს ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ და სამხედრო ხელმძღვანელობამ ამიერიდან, არ ეკუდილით, თუ რუსეთი ამ მასშტაბის სამხედრო აგვრხიას დაიწყებდაო, თანაც წყენს სამხედროებიც, ძირითადად, კრავის სამშვიდობო ოპერაციებისთვის ემზადებოდ-

ნენ და ამიტომაც ამერიკელი ინსტრუქტორები მათ რუსული ტანკებსა და თვითმფრინავების აფეთქებას არ ასწავლიდნენო.

იმედია, ავგისტოს ომის წლისთავზე უკვე ვიცით, რომ საბრძოლო მიქმედებების განახლების შემთხვევაში, ასპეტროული ბრძოლის ოს და აფხაზ სეპარატისტებთან ეო არ მოგვიწევს, არამედ სრულფასოვანი ომი რუსეთის რეგულარულ შეიარაღებულ ძალებთან.

არავინ უარყოფს, რომ ომში ახლო დისტანციებზე ბრძოლა (მათ შორის დასახლებულ პუნქტებში), კოლონების კონფირება, პარტიზანობა, ჩეკუისტების მწყობა ბრძოლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ამისთვის მზადება საჭირო. თუმც საბრძოლო ხელისუფლების ლექსებში (ახლო დისტანციებზე ბრძოლის გარდა) მაინც მეორეპლანის ხარეანა და ის იმ მხარეს სწირდება, ვინც ბრძოლა მთავო და უკვე ავიტროლებს ტერიტორიას.

ქართულ არმიას ჯერ მორწინადმდევის ჯეუმანტექნიკასთან, საბრძოლო ავიაციასთან ბრძოლა და სანაპიროს დაცვის ორგანიზება სწირდება მტრის საზღვაო დესანტის მოსაგერიებლად.

როგორც ჩანს, წყენი დასავლელი მეოლოტები, ძირითადად, აქვემტს მასინე ქართული დანაყოფების ანტიპარტიზანულ მომზადებაზე გააკეთებენ.

ისდა დავკრწინა, საქართველოს შეარადებულ ძალების გაერთიანებული შტაბი მხოლოდ თავის იმედზე იყოს და გააღიპტოს თავდაცვითი ტიპის ოპერაციებისთვის ჯარის გაქვრთნა. საბუნძვიროდ, ბოლო პერიოდში მორწინადმდევის ჯეუმანტექნიკას და საავიაციო ვირტუალური შემოტყვის მოკვრების ოპერაციებს მეტი ყურადღება ეიძობა ქართული არმიის მხედარებმა, მაგრამ არ გაქვრენდა, ამერიკული სამხედრო ინსტრუქტორებს ქართული მებრძოლებისთვის თანამდგომოვ დასავლური ტანკსაწინადმდგო და საწყენი საშუალებების ტექნიკური და ტაქტიკური გამოყენება შესწავლინათ და შესაბამისი ტექნიკათაც მოყარაყენებნათ ქართული არმია!

ირაკლი ალადაშვილი

გველ ნაყოფი ქართველი ჯარისკაცის თვალთ დანახული ომი

სამხედრო საქმეს პათეტიკა არ უხდება, მაგრამ მწიკა, გულგრილად მოისმინონ ის ამბავი, რაც ზოგიერთ ჯარისკაცს ომში თავს გადახდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ქვეყნის უახლესი ისტორია შეცვალა, უამრავი გმირი დაგვიტოვა და ასობით მუშორისა და მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეიწირა... ჩვენი რუსონდენტი ცხინვალის ომს სასწაულებრივად გადაურჩა. ქალაქში ბრძოლების დროს მოწინააღმდეგის აღეშინებულმა მოხერხებულმა დაიჭრა და სეპარატისტებს ტყვედ ჩაუტარდა. მათთან გატარებული რამდენიმე კომუნიკაციის დროს შეიმდგა დაჭრილი ქართველი მუშორის რუსი სამშვიდობოების ინიციატივით ვლადიკავკაზში გადააფრინეს...

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავზე 33 წლის კაპრალი, 41-ე ბატალიონის III ასეულის ათეულის მეთაური ზაზა ბაგაიასვილი ომის დეტალებს იხსენებს:

— მეთერთმეტე ბრიგადის 43-ე ბატალიონში ვმსახურობდი. ომამდე ერთი თვით ადრე 41-ე ბატალიონში გადავიდი, რადგან ამ ბატალიონის ბიჭები 2008 წლის სექტემბერში ვრეაქსიამ აპირებდნენ გამეზარებებს და მეც მინდოდა წასვლა...

ომამდე გვემოწივ სწავლებას გავდიოდით. 6 აგვისტოს, როცა საყოველთაო მობილიზაცია გამოცხადდა, შინ ვიყავი. რატომღაც ვერ დამიკავშირდნენ და თავად გამოეცხადე ვახიანის სამხედრო ბაზაში. სამხედრო ნაწილიდან 7 აგვისტოს, ნაშუადღევს გავდიოდი იმავე დღეს ქარელის რაიონიდან ზნაურში შევედი.

— გზადაგზა ქართული სოფლები და ცილილი გხვდებოდა?

— არა, ხალხი გვეხვებოდა და გზას ვეილიცავდა, გვეუწებოდნენ, ნუ გეშინიათ, ბიჭებო, ჩვენ ვაგვიმარჯულებთ. როცა შემოვივალამდე, ერთ-ერთ ოსურ სოფელში შევიჩერდით. ის ადგილი უნდა დაგვეკავებინა. იქაურებმა ჩანახლებული იყო და მამხალეობით გაყვანათ. მაგრამ ძალე უკან დახევა გვიბრძანეს. ის დამე იქ გავთუნეთ, 8 აგვისტოს უკან გამეფრინდით და ხეთაგურთოში დაგვანაკადით. ამ სოფლიდან ხელისგულეით

მოჩანს ცხინვალი. ამ დროს მოწინააღმდეგეს უკვე ცეცხლი ჰქონდა გახსნილი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ძლიერ წინააღმდეგობას გვიწვედნენ. ერთ-ერთ ადგილას, სადაც დამით ჩვენმა კოლონამ გაიარა, ორვე მხარეს ვაშლის ბაღები იყო, შუაში კი ვიწრო გზა გადიოდა. როგორც მერე გავიგეთ, ორვე მხარეს ოსები ყოფილან ჩასაფრებული, ჩვენ კი უბრძოლველად გავიარეთ.

**„რალახვას ვნანო, —
რომ არ დავჭრილიყავი
ურკო გვიჩს
გაქათაგან გვიქვავლი“**

— დაგვლებს შესასრულეზღად მთელი ბატალიონი იყავით ნასული?

— დიახ, 41-ე ბატალიონთან ერთად ვიყავით ბრიგადაში რამდენი ბატალიონიც არის, ვყვლას თავისი მიმართულება აქვს... როგორც გითხარით, 8-ში ჩვენი ბატალიონი სოფელ ხეთაგურთოში შევიდა და სოფლის ცენტრი დაიკავა. იმავე დღეს რუსეთის ავიაციამ 42-ე ქართული ბატალიონის პოზიციები დაბომბა და ბრძოლის ველიდან პირველი დაჭრილები გამოიყვანეს. ორი „აკელუსი“ და რეანიმობილი გირბო უსაფრთხოდ რომ ჩასულიყვნენ, ტყვეებით მოდიოდნენ, ჩვენ სამხედრო მანქანით მივეყვებოდით უკან. როცა უკან დაუბრუნდით, სოფელი დაბომბილი დაგვხვდა.

— ამ დროს კავშირი უკვე შეწყვეტილი იყო?

— დიახ, ვეცადე, მაგრამ ვერავის დავუკავშირდი. იმ დამეს სოფლის ნაძენარს შევუყარეთ თავი. მთელი დამე სროლას ხმა ისმოდა, რამდენიმე ქართული ქვედანაყოფი ბრძოლას განაგრძობდა... იქიდან 8 აგვისტოს დღითი გამოვიდით და 9-ში ისევ შეტბრუნდით. ამჯერად ზონიკია ზემო ნიქოში დავიკავეთ ეს არის ბოლო ქართული სოფელი, შემდეგ ცხინვალი იწყება.

დაახლოებით ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ ცხინვალი შევედით. ქალაქში ბრძოლა ძალიან მძლეა, ნებისმიერ



სამხედრო სწავლების დროს M16-ით ხელში

ფანჯარა შენი მოწინააღმდეგეა, ვყვლა შენობიდან გესვრიან. აქ მუშორის სანგრის გათხარსაც ვერ ახერხებს და ველარც ბლენდავით იცავს თავს, გარშემო სულ შენობა-ნაგებობებია და მწელი დასაფენია, რომელი მხრიდან და რა იარაღით გესვრიან. ქალაქში სხვა სახის ტიპის გამაგრებები არ შემხვედრია... ცხინვალში შესვლამდე ხელმარცხნე რუსი სამშვიდობოების ბაზა იყო. ჩვენი ბატალიონიდან დაახლოებით ათი კაცი ბაზაში შევიდა, დიდი წინააღმდეგობა არ შეგვედრიათ, დანარჩენებმა კი ცხინვალისკენ გაუგარქმელეთ გზა.

— დაბოლოებით რამდენი მემრძოლი შეხვედით ცხინვალში?

— ალბათ, 150 ერთი ოცეული, ჩვენი ბატალიონის მეთაურ დილიძესთან ერთად, ჩამოგვრნა და რუსი სამშვიდობოების სამხედრო ბაზაში შევიდნენ. როგორც შემდეგ გავიგეთ, ხელუშობარა აუფეთქეს და მეთაური დაიღუპა.

როგორც კი ცხინვალში შევედით, გზაჯვარედინზე შეჩერდით. მეთაურმა რუკა გაშალა. ზუსტად ამ დროს მოხარდა ოსები მხრიდან რუსების ჯავშანკოლონა წამოვიდა. ისეთ ადგილას ვიდექით, სანამ ახლოს არ მოვიდნენ, ვერც დაეინახეთ, — ძალიან მკვერობ



ვაზიანის სამხედრო
ბაზაზე გამართულ
ხანძარებზე ამერიკელ
ინსტრუქტორთან
ერთად
2008 წ.
ივლისი

მოსახვევი იყო, რუსებთან სულ რაღაც 200 მ მანძილზე პრისისპორ აღმოჩნდით, თანაც ჯავშანტრანსპორტიორებზე თეთრი დროშები ქსონდათ დამაგრებულ და ამან დაგვახანია.

— ვერ მიხვდით, რომ რუსები იყვნენ?

— მე ხევით ვინ მოძავალ ჯავშანტექნიკას MC ეწერა, მაგრამ თეთრი დროშები რისთვის ქსონდათ, ვერ გავიგეთ... ისინი რამდენიმე წუთში ამოვიღეთ მიხანში.

— შეიარაღება გქონდათ?

— ის, რასი ხელით წამოღებაც შეიძლებოდა, „აკაიხის“ და „აკაიხის“ ავტომატები, ტყვიამყრევეები, ხელფეხბრები, ტყვია-წაშალი, მაგრამ ბრძანება გაცხებ, არ ესროლიათ.

— ვინ გასცა ბრძანება?

— ერთ-ერთი შტაბის უფროსმა, როგორც ჩანს, ერთონაც ვერ გავარკვია, რა ხდებოდა... რუსების კოლონამ ჩვენ რომ დაგვიანა, ვაჩერდა. ეტყობა, იმ ადგილას არც ისინი გულებდნენ და ამაზე ისიც მიანიშნებდა, რომ ჯავშანტრანსპორტიორებზე ზემოდან ისხდნენ. დაახლოებით ხუთი წუთის განმავლობაში ვიდევით ასე, ისინი მიხანში გვაგვიდა ამოღებული, იმათ კი — ჩვენ. მერე კი ხუთი თუ ექვსი ერთეული რუსული БМП შუაში გაუტარათ და ზემო ნიჟისის მიმართულებით, ჩვენი პოზიციებისკენ წვედნენ. დაახლოებით 10-15 წუთით დაბრუნდნენ და ცვეხლი გაგვიხსნეს. მათ ჩვენ პრისისპორ განლაგებულებაც აკევენ და სრულა მარჯვენა და მარცხენა მხრიდან დაიწყეს. ერთი სიტყვით, დავაპში მოგაქცეთეს.

— რა მოხდებოდა, რუსული ტექნიკა რომ არ გაგეტარებინათ და ბრძოლად თქვენ გაგვხსნათ ცვეხლები?

— ძალზე დავაზარალებდით მოწინააღმდეგეს. შესაძლოა, მთლიანი კოლონა ვერ გაგვენადღურებინა, ჩვენ ცოტანი ვიყავით, ის კი 58-ე არმიის ძირითადი კოლონა იყო, მაგრამ საკმაოდ კარგი შედეგი გვეუბნებოდა. ძალიან ვიწრო ქუჩა იყო და თუ წინ ააფეთქებდნენ, გაიქვებოდნენ, ვერც მოტრიალდებოდნენ და აღარც პირდაპირ წამოსვლას შეუძლებდნენ.

— მაშ, რატომ მიიღო ბატალიონის მეთაურმა ასეთი გადაწყვეტილება?

— ჩემი აზრით, სამშვიდობოების ინიციატივების დანახვამ დააბნია. ნაბრძანებო გვეკოლა, მათთვის არ გვესროლა. მერე კი, როცა ცვეხლი გახსნეს და აღვაპში მოგაქცეთეს, მართა, ორგანიზება და კავშირი მოიშალა და გადაწყვეტილება უკვე ყველა დამოუკიდებლად იღებდა. რამდენიმეკაციან ჯგუფებად დაეშალეთ და ისე ვუწევდით წინააღმდეგობას, როგორც ვითარება გვეკარნახობდა.

— ბრძოლაში ოსებზე ჩართულობა იყვნენ თუ რუსებზე დაუთმეს ბრძოლი და მოედანია?

— არა, ოსებზე იყვნენ ჩართული... ინტენსიური ბრძოლა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, მოწინააღმდეგე წინაგან სულ რაღაც 50-100მ მანძილზე იყო. ვარჩიეთ, სამშვიდობოს ოსების მხრიდან განუსაზღვრეთ მარცხენა მხარეს რამდენიმესართულიანი შერბოა იდგა და იქ ოსები იყვნენ განლაგებული.

მასხვს, შესაძლოა სართულის ფანჯრიდან ტყვიამყრევეს გვესროდნენ. როცა იმ შერბოისკენ მივდილობთ, სწორედ ამ დროს დაშტრეს ფეხში... არ ვიცი, რუსის ტყვია მოიხვდა თუ ოსის, მაგრამ ავტომატი იყო, „აკაიხი“ ან „აკაიხი“, ტყვიანი კონიში გაიარა და ჩავიხიქეთ.

რუსებმა ყველა ტაბის იარაღი გაგვიხსნეს ცვეხლი. მართალია, შეიარაღებითა და აღჭურვილობით ჩვენ ვჯობობდით, მაგრამ ბრძოლის შედეგი მორჩინააღმდეგის მრავალრიცხოვნობამ გადაწყვიტა. რუსულმა ავიაციამ ხომ ზერხემლით გადაგვიტყუა, თმცა იმ დროს რუსული ავიაცია ცხინვალზე არ „შემაბოდა“. ქართული სამხედრო შეიარაღების პოზიციების „დამუშავებით“ იყო დაკავებული...

მოკლედ, დამჭრეს და ვიფიქრე, როგორმე ალყას გაგარდევით და მერე ლახტს გადავიჭერ-მეთქი, მაგრამ წამოღებოდა რომ მივინდობე, ფეხი ვერ გადავიდე, მუხლებქვეით მოწვევტილი მიქნდა. ბიჭებმა შემეფეხნეს იმ შენობაში, უკან დაახლოებით რუსების 20-კაციანი ჯგუფი ფეხდაფეხ მოგვსდევდა. ტყვიების წვიმაში ერთი შენობიდან მორეპო გაავლიდით მესამესთან ცხინვალში მიუარდებოდა, მის უკან ტყე იწყებოდა. ეს იყო ცხინვალის დასავლეთი... დღე წყალბომით დაღვნიეთ თავი მორჩინააღმდეგეს და ის იყო, ერთ-ერთ ოთახში შევიდით და ჭრილობა ბინტით გადავიხივე, რომ რუსები შემოვიცვდნენ. როცა ცვეხლი გაუხსენით, ერთი იყვრეს, აქ ქართველები არაიანი და გაიქცნენ. ჩემმა თანამებრძოლებმა გადაწყვიტეს, ტყის მასივისკენ გზა გაეკვლიათ, დაეწუსტებინათ, საით უნდა წასულიყვნენ, მერე კი მობრუნდებოდნენ და მეც წამიხედნენ...

ოთახში მარტო დავრჩი. ვეიქრობდი, შესაძლოა, რუსები ისევ შემობრუნდნენ-მეთქი და ავტომატი გადავტყუნე. სანამ ტყეები მიყოფოდა, დანებებას არ ვაპირებდი და მერე ჯანდაბას, რაც იქნებოდა.

— მხოლოდ ავტომატი გქონდათ?

— ავტომატი და ერთი ხელფეხბრა, ის, რასი ხელით ტარებაც შევძელი.

— თქვენი ბატალიონის ბიჭები აღარ გამოჩნდნენ?

— არა, ვიფიქრე, სარდაფებზე ზოხვით ჩავალ და როცა დაღამდება, იქნებ როგორმე ამოვიღო და ტყისკენ შევძლი გოქცე-მეთქი. გაგზარებთ ჩავიხივდი და ის-ის იყო, თავი სამშვიდობოს დავიგული, ეივრძენი, როგორ დამაძლი ვიღაცამ

ზურგზე ავტომატის ლულა... თურმე სარდაფში ოსები იძალებოდნენ. ჩემ გარდა კიდევ ჰყოფდა ტყვედ 10-მდე ქართველი ჯარისკაცი, წინააღმდეგ, 8 ავეისტოს აუკეცნაიათ. ბიჭებს მათ სთხოვეს, როცა თქვენ ისროლოთ, ამით ევხარათ, ქართველი სპეცრაზმი შემოვიდა და ჰანიკაში იყვნენ... იარაღის წართმევისას თავის აფეთქება ცეკად, მაგრამ ხელეუქმარის თავისა ვერ მიახსნარა, ხელზე უტომატის კონდახი დამარტყეს და გაეპაღდებინეს. მაჯა გადამტყვევული მქონდა. ის ლამე სარდაფში დავრჩით, მერე დღეს სხვა შენიბაში გადაგვიყვანეს, თუ არ ეცდებო, ცხინვალის მჭიურე სკოლა იყო.

— ოსები როგორ გაცემოდნენ?

— კარგად-შემო, ვერ ვიტყვი, მაგრამ სხვა ტყვეებთან შედარებით მინდობდნენ, იმდენს არ მქედნენ, რადგან ძალიან ვიყავი დამწყვეტილი, ხელ-ფეხი გამისვდა, ხშირად გოხს ვკარგავდი... თუ ვინმე გვიყო შემოვიარებოდა, მთერალი და გაბიროტებული, მისი ატანა კი მიწვედა...

სიკვდილს ენატროდი და არ ვკვდებოდი, სისხლისგან თითქმის დაცლილი ვიყავი... ერთმა ოსმა მითხრა, სხვა დროს და სხვა ვითარებაში რომ მოსულიყავი, კარგ სურფას გაგიშლიდა და კარგად გაქეცივდით. ერთხარი, იქნება ეს დროე მყოფდეს-მყოფი. არა, ეს დრო აღარასოდეს დაგვრია...

ორი-სამი დღის შემდეგ რუსებს გადაგვეცეს, შემდეგ ცხინვალის საკავშირეთოში ჰრადობები დამიმუშავეს. რუსი სამშვიდობოების ფეიდი მდელიცინის მუშაკები იყვნენ ჩამოსული და როგორც მუხვი, ეს მათი ინიციატევა იყო. იქ ორი დღე დაგვტოვეს, შემდეგ კი ვლადიკავკაზში გადამაფრინეს.

— ალბათ, დაკითხვებიც იყნებოდა...

— რა თქმა უნდა, როგორც კი გოხს მოვიდოდი, მაშინვე დამადგებოდნენ თავს, ძირითადად, ერთსა და იმავეს შეკითხებოდნენ, რომელი ქვეყანაყოფის წევრი ვიყავი და რა დაეალება გექნოდა, ანტიტერესებდათ. აპერიკლები თუ მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში... სხვადასხვა რუსული ტელეარხების ჟურნალისტებიც მოდიოდნენ, თუ არ ვცდები, ბი-ბი-სიც იყო, და იმავეს გვეკითხებოდნენ. ვლადიკავკაზის საკავშირეთოში რამდენიმე დღე გუატარე, იქ შედარებით ნორმალური ვითარება იყო და ოპერატივ გაშიკეთეს. გავემართოდა ქართველი ექიმის შვეკვდა, თბილისელი ბიჭი, ძალიან აქტიურობდნენ წიფელი ჯვრის წარმომადგენლებიც...

19 აგვისტოს უკვე იფიქროს გადააფრინეს და რუს მფრინავებში გადაიტყველეს.

— ვლადიკავკაზში საბავად-მყოფოში ქართველი სამხედროები ბეფრი იყვნენ?

— ორი ქართველი იყო, ისინიც ჩემთან ერთად გადაიტყველეს.

— ოჯახში, ალბათ, დავარბული ეგონეთ?

— 10 დღის განმავლობაში არაფერი იცოდნენ... სანამ ვლადიკავკაზში გადამიყვანდნენ, რამდენიმე საათით ჯავაში გაგვარქეს, სადც რუსების სამედიცინო ბატალიონი იყო განლაგებული. ჰრადობებზე ფოტოები გადავიკვივს. იქ ერთმა რუსმა მკითხა, შენებს თუ იციან, რომ ცოცხალი ხარო? არა, ოჯახში არც კი იცოდნენ, ომში რომ მოვიდოდი, დავიბარე, სწვლებს გვაქვს და ტელეფონები ჩამოგვართვეს, შეიძლება ვერ დაგვტოროს, არ შემინდეთ-მეთი... (სხვათა შორის, მობილური ტელეფონები მხოლოდ ჩვენი ბატალიონის ბიჭებს ჩამოართვეს). იმ რუსმა მითხრა, შენი სახლის ნომერი მიკარნახე, შვეკტიონისებ, რომ ცოცხალი ხარო. სცადა, მაგრამ ვერ დარეკა, რადაც კოდი სჭირდებოდა, რომელიც ჩვენ არ ვიცოდით. დამხიბდა, მოგვიანებით კიდევ ვცდიო. მერე როგორც გავიგე, მოსკოვში ცოლიან დაურეკეს, ჩემი ნომერი მოცადა ლუხოვია, ამ ნომერზე დარეკე და შეკტობინე, რომ ზახა კეთილშეიძლი ცოცხალია... მერე „წითელი ჯვრის“ წარმომადგენლებმაც დაგვარეკეს.

— იმ ბიჭებზე არაფერი

გსმენიათ, ვინც შენიბაში იყვნენ თქვენთან ერთად?

— როგორც ვიცი, იქიანად ერთ-ერთი, ჩვენი ბატალიონის შტაბის უფროსი სერგია დაიღუპა. ახლახან დაბრუნეს, რომ იქ მოსულიყო, სხვები ვადარწმუნ... არაფერს ვიხიბ, ომში ვიღაც დიპტურბა, ვიღაც დაიღუპება, სხვაგვარად წარმოუდგენელია. თუმცე ძნელია, როცა შენ გარშემო ის ადამიანები იხიციებიან, ვინც რამდენიმე წუთის წინ ცოცხალი იყვნენ, მაგრამ ასეთია ომი... არც შვედლოებისგან არის ვინმე დაზღვეული, ომში ყველაფრის გათვლა ძნელია, ალბათ, შეუძლებელიც...

— იგოეთიდან გორის სამხედრო პოსიტალში გადაგვიანეს?

— არა, ჯერ ლულეშაურის სახელობის კლინიკაში ვიყავი, შემდეგ კი თავდაცვის სამინისტროს დანაწარებით მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსი ჯერ თურქეთის სამხედრო კლინიკა „გაიამი“ გავიარე, მოგვიანებით კი ლატვიაში გაემეგზავრე. მკურნალობა ჯერ არ დამისრულებია, მუხლის სახსარი დამსხვრეული მქონდა და ფეხი 3-4 სანტიმეტრით დამიშკოდა. ახლა სახსრის პროთეზი უნდა ჩამიბგან. ტრეფის ძვალეც დაზიანებული მაქვს. მუხუდგად ამისა, ისევე ძვლებში საქართველოს შუაინდოგულ კლინიკაში. მარიალან, საცულ სამუშაოს ვერ შევასრულე და ვერც საბრძოლო მოქმედებებში მყოფებ მონაწილეობას, მაგრამ სამედიცინო ან სამხედრო შტაბში მპირდებიან სამსახურს.

ლტალი პაპბსპირი

43-ე ბატალიონის მეგრძობლებთან ერთად



რუსეთ-საქართველოს ომი: აგრესია დასავლეთ საქართველოში

ანაბის 1141-ე პოლკის „ნონას“ ტიპის
თვითმავალი საარტილერიო
დანადგარები საქართველოსკენ მოემართება



დასასრული. დასაწყისი იხ.
„არსენალი“ №16

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაპყრობად რუსეთი დიდხანს მძივრობდა საქართველოს ორივე კონფლიქტური რეგიონის სეპარატისტული რეჟიმების რუსეთის ფედერაციაში შემაჯავლი სუბიექტების მსგავს ურთიერთობაზე გადაყვანა დააგადა. იმედგარეულად, საქართველოს შესაძლო აგრესიის მომიზეზებით მოსკოვმა აფხაზეთში შეარაღებული ძალების გაზრდა გადაწყვიტა.

აფხაზეთში 1994 წლის ივლისიდან ე.წ. თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების სტატუსით უკვე იყვნენ რუსეთის არმიის ნაწილები. ბოლო თვეებში ამ მხისას მაიკოის 131-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადის 558-ე და 526-ე მოტომსროლელი ბატალიონები და სამარის მე-15 ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადის 43-ე მოტომსროლელი ბატალიონი ასრულებდნენ. სამეფო ბატალიონში, მართვისა და უზრუნველყოფის ქვედანაყოფების ჩათვლით, დაახლოებით 2150 სამხედრო მსახურობდა. ბატალიონები შეიარაღებული იყო 130 ჯეკმანტანანორტი-

ორით (БТР-70, БТР-80, БТР-П145, БРДМ-2 და სხვ.), 82 მმ-იანი 34 ნაღმ-სატორქნიო, ორ-ორი Ми-8 და Ми-24 ტიპის შვეულმფრენითა და სხვა ტექნიკით.

30 აპრილს ოჩამჩირის რაიონში ე.წ. სამშვიდობო ძალების გასაძლიერებლად ნოვოროსიისკის მე-7 სადექანტო-მოიერეშო სამოი დეიზიის 108-ე სადექანტო-მოიერეშო პოლკის ბატალიონი (დაახლოებით 550 სამხედრო და ჯეკმანტანანორტი 50 ერთეული) შევიდა და გალის რაიონში განიარსდა.

ბატალიონი გაძლიერებული იყო იმეფ დეიზიის 1141-ე საარტილერიო პოლკის პაუბიციების (14 ერთეული 122 მმ-იანი Д-30-ის ტიპის პაუბიცი) დეიზიონით. არტილერიისტებმა პოზიციები ტყვეჩრქელის მახლობლად დაიკავეს და პაუბიციები კოდორის ხეობისაკენ მიმართეს.

2008 წლის გაზაფხულზე რუსეთმა აფხაზეთში ფარულად შეიყვანა და განალაგა საჰაერო სერვის რადიოტექნიკური კონტროლის საშუალებები და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი БУК-ის დეიზიონი.

აფხაზეთის საჰაერო სერვის მთლიანად რუსეთის კონტროლქვეშ აღმოჩნდა. 20 აპრილს გალის რაიონის სოფელ გავიდის მახლობლად რუსულმა ავიაც-

ამანდგურებელმა საქართველოს Hermes-450 მოდელის უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოავლო. როგორც ყოველივეს, რუსეთმა ინციდენტში მონაწილეობა უარყო და ქართული მხარე მდგომარეობის გამწვავებაში დაადანაშაულა.

აგრესიის მზადებისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად უნდა შეფასდეს 2008 წლის 31 მაისს აფხაზეთში რუსეთის სარკინიგზო ჯარების 400-კაციანი ბატალიონის შეყვანა, ხილო თვალის ასახვევად სოჭის ოლიმპიადისათვის მშენებარე ობიექტებზე დორღის მიწოდება მომიზეზეს. ბატალიონმა სოხუმში-ოჩამჩირის 55 კმ სიგრძის მონაკვეთი აღადგინა და 30 ივლისს აფხაზეთის რკინიგზას ოფიციალურად გადასცა.

აგრესიის დაწყებამდე რკინიგზით რუსეთიდან შემოვიდა საბრძოლო მასალები, საწვავი, უზრუნველყოფის საშუალებები, ჯეკმან და საეკონომილო ტექნიკა. ყველაფერი, რაც ჯარებს საბრძოლო მოქმედებებში დასჭირდებოდა.

ოჩამჩირის რაიონში რუსებმა ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების Точка-У-ის ტიპის სარაკეტო კომპლექსები განათავსეს და მიზანში დასაულეთ საქართველოს სტრატეგიუ-

ლი მნიშვნელობის ობიექტები ამოიღეს.

კონფლიქტის ზონის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ე.წ. სამშვიდობო ძალების პოსტების პირადად შემადგენლობა და მატებით ტანკსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის კომპაქტური საშუალებები მიიღო.

8 აგვისტოდან რუსეთი ქვეყნის შიდა რაიონებიდან აფხაზეთისაკენ სარკინიგზო, საჰაერო თუ საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებებით დამატებითი ძალების შემოყვანის ფართომასშტაბიანი ოპერაციის ჩატარებას შეუდგა.

10 აგვისტოს მიწელი დამე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებს ბაზუშერის აეროდრომზე ფლიანოვსკის 31-ე ცალკეული სადესანტო-მოიერიშე ბრიგადის საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი (450 სამხედრო) საბრძოლო ტექნიკასთან (23 – БМД-2, 4 – БТР-Д, 1 – БТР-3Д, 4 – 2С9 Нона, 10 – 122 მმ-იანი პაუზიცა Д-30) ერთად გადაჰყავდა.

შუი ზღვის ფლოტის სამმა დიდმა სადესანტო ზომადღმა ოჩამჩირის რაიონში ნოვოროსიისკის მე-7 დივიზიის 108-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკისა და სხვა ქვედანაყოფთა დახმარებით ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე და საბრძოლო ტექნიკის ასოციეროული შეიქვანა.

სტეროპოლიდან სარკინიგზო ემელონიებით 247-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის ტექნიკა და პირადი შემადგენლობა, ანაბიდან 1141-ე სარტილერიო პოლკის 2С9 Нона-ს ტიპის თვითმავალი სარტილერიო დანადგარების (12 ერთეული) დევიზიონი და სხვა მძიმე შეიარაღება წამოვიდა.

ბუნებრივია, ძალების თავმოყრა დეზინფორმაციის თანხლებით მიმდინარე-

ნოვოროსიისკელ შედგენატეოა БТР-3Д



ობდა და თავის გასამართლებლად მოსკოვი აქცენტს აფხაზეთში ქართული არმიის მოსალოდნელი შეტვის თაიდან აცილებულზე აკეთებდა.

დაჯგუფებაში რუსეთის არმიის საჰაერო-სადესანტო და ე.წ. სამშვიდობო ძალების ქვედანაყოფები და სოხუმის ხელისუფლების ფორმირებები გაერთიანდნენ.

რუსული მონაცემებით, დაჯგუფება დახლოებით 9 ათასამდე სამხედრო, ხოლო შეიარაღებაში 410 ჯგუშანტრანსპორტიორსა და ასამდე სხვადასხვა სარტილერიო სისტემას ითვლიდა.

მოყარე შემტევე ძაღას 3100 საჰაერო მეღსანტე ქშინდა. მთი განკარგულეაში იყო: 200-ზე მეტი ჯგუშანტრანსპორტიორი (БМД-2, БМД-1, БМП-2 და БТР-Д), 19 – БТР-3Д (მეღსანტეოა საწინელო ჯგუშანტრანსპორტიორი),

10 – БТР-РД (მეღსანტეოა ტანკსაწინააღმდეგეო ჯგუშანტრანსპორტიორი), 27 – БТР-80, 9 – БМД/БМП-1КШ (სამეოთხეო საბრძოლო მანქანა), 20 – 1В119 Реостат-ი (ღაზეერვისა და სარტილერიო ცეცხლის მართვის მანქანა), 30-120 მმ-იანი თვითმავალი სარტილერიო დანადგარი 2С9 Нона, 20 – 122 მმ-იანი პაუზიცა Д-30, 10 – 82 მმ-იანი ნაღმსატყორცნი, 14 – 23 მმ-იანი საწინელო ატრომატი 3У-23-2, 160 ერთეული ქვეითთა რეაქტიული ცეცხლეგაშენი РПО-А Шмель-ი და სხვა შეიარაღება. ამას ემატებოდა დაახლოებით 330 ავტომობილი, საიდანაც 215 სატყირთი იყო.

რუსული ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის დიდ ნაწილს საბრძოლო გამოცდილების მქონე კონტრაქტი მომსახურეები შეადგენდნენ. რუსებს მობილესაციის შემდეგ დაახლოებით 3800 აფხაზი სამხედრო 8 ტანკითა და 6 პაუზიცა Д-30-ით დაემატა.

რუსეთის არმიის გენშტაბმა დაჯგუფების წინაშე შემდეგ ამოცანები დაეყენა: ზუგდიდის მხრიდან შეტყვის შეჩერება, ფოთიდან და სენაკიდან რეზერვების გადმოსროლის აღკვეთა, ზუგდიდში მყოფ საპოლიციო დანაყოფთა განიარაღება და შეტყვის ქუთაისის მიმართულიებით დაწყება.

რეღურად რუსები ორ მოყარე მიზანს იხაზებდნენ: ფოთი-სენაკი-ქუთაისის რაიონში საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურებასა და კოღორის ხეობის ბლოკირება-საცეცხ-

108-ე პოლკის ტექნიკის გადმოტყირთვა ოჩამჩირესთან



შენიღბული რუს
მედესანტეთა
საბრძოლო მანქანა



ლე ზემოქმედებას.

დაჯგუფებას სათავეში რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის საბრძოლო მომზადებისა და სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსი, რუსეთის გპირი, გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმირ შამანოვი ჩაუდგა, რომელიც ამჟამად რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალია.

9 აგვისტოს დილისათვის ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებაზე რუსი სამხედროები სრულ ინფორმაციას ჯერ კიდევ არ ფლობდნენ და დასავლეთ საქართველოში აგრესიის დაწყებას ჩქარობდნენ.

გენერალი შამანოვი იხსენებს, რომ

10 აგვისტოს დილით მას თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდუკოვმა დაურეკა და მეორე ფონისტი გახსნის საჭიროებაზე ელაპარაკა, რათა საქართველოს ჯარების ნაწილი ცხინვალის მიმართულებიდან მოეხსნა და დასავლეთში გადაესროლა.

მომდევნო საუბარი გენშტაბის უფროსთან, არმიის გენერალ ნიკოლაი მაკაროვთან შედგა. მაკაროვმა ცხინვალზე დაწოლის შესამცირებლად დასავლეთ საქართველოში საბრძოლო მოქმედებათა სწრაფად დაწყება მოითხოვა.

გენერალი შამანოვი 10 აგვისტოს საღამოს სოხუმში საჰაერო-სადესანტო

ჯარების 45-ე ცალკეული სადაზვერვო პოლკის შვედრავთა რამდენიმე ჯგუფთან ერთად გადაფრინდა.

მედესანტე შვედრავები იმავე დამეს აფხაზეთის მოსახლეურ ქართულ რაიონებში ვითარების გასარკვევად შევიდნენ. გამორიცხული არ არის, სამეგრელოს სოფლებში დროდადრო აფეთქებები 45-ე პოლკის შვედრავთა დატოვებული ნაღმების შედეგი იყოს.

8 აგვისტოს რუსეთის არმია დასავლეთ საქართველოში აშკარა აგრესიაზე გადავიდა, — 23:50 საათზე აფიციამ პირველად სენაკი, ხოლო ფოთის პორტი ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტებმა დაბომბეს. დაბომბებმა სენაკში 14 და ფოთში 10 კაცი იმსხვერპლა.

მომდევნო დღეებში საჰაერო თავდასხმებმა რეკულარული ხასიათი მიიღო. რუსი სამხედროების სამიხუნდე იქცა კოდორის ხეობის სოფლები, სენაკი, ზუგდიდის რაიონის სოფლები — ურთა, ანაკლია, განმუხური და კოპიტნარის აეროდრომი. დაბომბვები უფრო მეტად შვედიბიან მსახლეობას აზარალებდა.

8-12 აგვისტოს რუსეთის არმია მკვადასხვა საშუალებით მარტო დასავლეთ საქართველო დაახლოებით 40-ჯერ დაბომა. დაბომბვები გრძელდებოდა 10 აგვისტოს 17:30 საათის შემდეგაც, როცა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ცეცხლის შეწყვეტაზე გადაწყვეტილება მიიღო.

ახლა რუსი სამხედროები ტრაბახ-

რუსი მედესანტებმა
სენაკის აეროდრომს აფეთქებენ



ობენ და ათასნაირ სიცრუეს ივრებენ, რომ საჰაერო დაბომბევით გაანადგურეს ქართულთა გამაგრებული პოზიციები, მოსეს „გრაღები“ ბატარეა, ჩააზმვეს საჰაერო თავდაცვის სისტემები და სანაპირო ბატარეები.

კარგად არის ცნობილი, რომ ქართული არმიის თითქმის ყველა ბრილიონუნარიანი ქვედანაყოფი ცხინვალის რეგიონში მტერს თავგამოდებით ებრძოდა და ზუგდიდის მიმართულადა, პრაქტიკულად, დაუცველი დარჩა. შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები კი ავიაციისა და ჯავშანტექნიკის მხარდაჭერით მოქმედ რუსი მეღმანტყეების შეჩერებას ვერ შეძლეს.

10 აგვისტოს აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გალის, ტყვარჩლოს, ოჩამჩირის, გულრიფშისა და ნაწილობრივ სოხუმის რაიონში 10 დღით სამხედრო მდგომარეობა შემოიღო. დაიწყო რეზერვისტთა მობილიზაცია.

10-11 აგვისტოს ღამით 108-ე პოლკის საბატალიონი ტაქტიკურმა ჯგუფმა ენგურის ხიდი გადალახა და ზუგდიდის რაიონის სოფელ ურთისკენ წვიგდა, აქ რუსული ე.წ. სამშვიდობო ბატალიონი იყო განთავსებული.

მცირე შეხვედრების შემდეგ მეღმანტყეებმა სენაკისკენ მარშის ბრძანება მიიღეს და რამდენიმე საათში სენაკთან მდებარე დანგრეული ქარხნის ტერიტორია დაიკავეს.

11-ში დღითი აფხაზეთში ე.წ. რუსული სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალ-მაიორმა სერგეი ჩაბანამ ულტიმატუმის ფორმით ქართული საპოლიციო ქვედანაყოფების განსარილება მოითხოვა.

მომდევნო საათებში 108-ე პოლკის მეორე საბატალიონი ტაქტიკურმა ჯგუფმა ენგურის ხიდი გადალახა და 17 საათისთვის სენაკში შევიდა.

სენაკში თავმოყრილი 1300-1400 რუსი მეღმანტყის მარშის შემდგომი მიმართულება ქუთაისი იყო, მაგრამ გვემა შეცვალეს და მე-2 ბრთვადის ბაზის ინფრასტრუქტურის ძარცვა-განადგურებაზე გადავიდნენ.

ოთხი დღე იძარცვებოდა სენაკის სამხედრო ბაზა, საიდანაც გაიტანეს დაზიანებული 4 T-72 (№206, 207, 208, 209), საჰაერო თავდაცვის კომპლექსი Бук-М1-ის ორი სატრანსპორტო-დამტენი მანქანა, რამდენიმე სატვირთო ავტომობილი და სანაწირო ტექნიკის ერთეული, ორი ათასზე მეტი ცეცხლსასროლი იარაღი, ათასზე მეტი ტანკ-



საწინააღმდეგო და ქვეითა საწინააღმდეგო ნაღმი, მძლიერებით ვაზნა.

რუსებს უკან სეპარატისტთა ფორმირებები მიჰყვნენ. ერთმა ნაწილმა პოზიციები მდინარე ენგურის გასწვრივ დაიკავა, ხოლო მეორე კი მდინარისპირა ქართული სოფლების მოსახლეობას აწიოკებდა. პარალელურად მიმდინარეობდა კოდორის ზეობის დასაპყრობი ოპერაციისათვის მზადება.

ოპერაციას სეპარატისტთა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ზაკანბეი ნანბა, ხოლო რუსებიდან კი შუიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადებისა და სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი ალექსეი ღარჩინკო ხელმძღვანელობდნენ.

9 აგვისტოს 14:30 საათზე რუსულმა ავიაციამ ბომბები პირველად სოფელ აქარასთან ჩამოყარა. მომდევნო დღეებში დაბომბა გენწეში, ომარისპირა, ჩხალთა და სხვა სოფლები. ბომბებონა და სახელმწიფო დაწესებულებები, შეიარაღებული ძალებისა და საპოლიციო ქვედანაყოფების პოზიციები, აეროდრომი, მშვიდობიანი მოსახლეობას საცხოვრებლები.

ზეობის დამცველებსა და მოსახლეობაზე ზემოქმედებისათვის მოწინააღმდეგის ავიაცია ზეობის დატოვების მოწოდებით ფურცლებსაც ვრიადა.

კოდორის მე-5 ბრთვადის 51-ე და 52-ე ბატალიონები და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფები იცავდნენ. ეს დაჯგუფება დაახლოებით 2000-2500 კაცს თოვლიდა და ჰქონდა: 122 მმ-იანი

აფხაზური „გრაფი“ კოდორისკენ არის მიმართული



DI-30 ტიპის პაუბიცები, 23 მ-იანი 3Y-23-2 ტიპის საზენიტო ავტომატები, LAR-160-ის სტაციონალური დანადგარები, GROM-2-ის ტიპის ხელის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები და სხვა შეიარაღება.

II ავეისტოს დილის 7 საათზე რუსეთის არმიის 247-ე საფლანგო-მოიერიშე პოლის გადმოტრეპული ასეულის 138 სამხედრო ჯავშანტექნიკის 13 ერთეული (11 — БМП-2, 2 — БТР-80, 2 — 82 მ-იანი ნაღმსატყორცი და 2 — 23 მ-იანი საზენიტო ავტომატით 3Y-23-2) კოდორისა და ახალგავეყენილი გზით წავიდა და 18 საათისათვის პოზიციები ხაიშთან დაიკავა.

იმედგროვლად, სეპარატიცტო ქვედანაყოფებმა ხეობის მიმდებარე ტერიტორიებზე ქართული დამხმარე ძალების შემოსვლის ვეკლა შესაძლო მიმართულება გადაკეტეს. ვანალაგეს არტილერია, მათ შორის "ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა "გრადის" დანადგარები.

რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალებმა არ შესარულეს თავიანთი მფულობელი, ცეცხლის განახლებას ხელი არ შეუშალეს. პირიქით, სეპარატიცტო ფორმირებებს ყოველმხრივი დამხმარება გაუწიეს.

ხეობაში ბლოკირებული ქართული ქვედანაყოფები სისტემატურ საარტილერიო-სააფიცო ცეცხლში მოექცა, რომლის მოგერიება თვალცეცხლის შესხედული რესურსებით სულ უფრო და უფრო ჭირდა. 9-დან 12 ავეისტოს ჩათვლით კოდორის ხეობის სოფლები დაახლოებით 25-ჯერ სააფიცო-საარტილერიო ცეცხლში აღმოჩნდა.

რუსული საფრენი აპარატების დარტყმები აფხაზებმა თავიანთ ავიაციას მაჩურქეს, თუმც ცალკეულ დამომგებში ერთობლივად მოქმედებაც გამოიჩინეს და არ არა.

სოხუმის თვალცეცხის სამინისტროს ინფორმაციით, კოდორის მიმა-

ართულებით L-39 ტიპის სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავებმა და Ми-24/Ми-8МТ ტიპის შვეულმფრენებმა 60-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა შესარულეს. საპაერო ძალების 8 მფრინავმა აფხაზეისს გმირობა და კიდევ 45 სამხედრო მოსამსახურემ სხვადასხვა ვილილი დამოსხურა.

II ავეისტოს, 10 საათს და 20 წუთზე, რუსმა სამხედროებმა და აფხაზმა სეპარატიცტებმა ქართულ ქვედანაყოფებს ხეობის დატოვება ულტიმატუმით მოსთხოვეს.

12 ავეისტოს დილის 5 საათზე რუსულმა ავიაციამ კოდორი ისევ დაიბრძა, რასაც 9 საათზე კიდევ ერთი — 11-წუთიანი საპაერო და 30-წუთიანი საარტილერიო დარტყმა მოჰყვა.

მწინააღმდეგვის ავიაციის ბატონობისა და თვალცეცხის საშუალებათა ფართ არჩევნის პირობებში, მტერს კოდორის დამცველთა ამოხეცვა უკონტაქტო ბრძოლის გარეშე შეეძლო. შექმნილი ვითარებაში იარაღის დაყრა და ხეობის დატოვება, ალბათ ერთადერთი გამოსავალი იყო.

10 საათისათვის აფხაზთა ითხი შვეულმფრენით სოფელ ჩხალისის მახლობლად V მობომორული ბრიგადის დესანტის გადასხმა დაიწყო. შვეულმფრენებმა რამდენიმე რეისით 1992-93 წლების ომში მონაწილე 250 რეზერვისტი გადაიყარეს და 12 საათისათვის ხეობის ადმინისტრაციული ცენტრში — სოფელ აფარაში აფხაზური დრომა აღიმართა.

ჩვენ ზმირად გვეხმოდ განცხადებები იმის თაობაზე, რომ კოდორის ხეობა სამივე დიდ დაცულ-გამაგრებული იყო. იგვევ გამოიქორა სეპარატიცტოა გენშტაბის უფროსმა, გენერალმა ანატოლი ზაიცევმა. მისი თქმით, ასე დაცულ-გამაგრებული რაიონის აღებისათვის ერთ თვე საკმარისი არ იქნებოდა და ამიტომ აქცენტზე საპაერო თვალცეცხის საშუალებებზე გაკეთდა.

ზაიცევის დასკვნა ასეთია: „ბრძობებისა და რაკეტების მუდმივ დარტყმის გამო ვეკლანე დაცული თემისაფარიც კი იოლი ასაღები ხდება“.

სამწუხაროდ თვალცეცხის ორგანიზების დარჩენმა სამხედროებმა ეს არ გაითვალისწინეს.

ოპერაციას დანაკარგის გარეშე მანაც არ ჩაუვალა. აფხაზებს ერთი სამხედრო გაუფრთხილებლობით, ხოლო რუსებს კი ხეობაში გადაადრენილ ჯავშანტრანსპორტიორში ორი კაცი დაეღუპა. ჩვენს მხარეს რამდენიმე კაცი დაიჭრა.

სოხუმის ინფორმაციით, კოდორის ხეობაში სეპარატიცტთა ფორმირების დარჩენა 2 ათასამდე სხვადასხვა სახის ცეცხლსასარაოლი იარაღი, მსუბუქად დაჯავშნული МТЛБ ტიპის 4 ვაშეე, 122 მ-იანი DI-30 ტიპის 8 პაუბიცა, 23 მ-იანი 3Y-23-2 ტიპის 4 საზენიტო ავტომატი, 57 მ-იანი C-60 ტიპის 1 საზენიტო ქვეშები, 160 მ-იანი LAR-ის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის დანადგარის ერთი ნახევრადცარიელი კონტეინერი, ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცი PIГ-7-ის 10 ათასი ჭურვი, ლოლისქვეშა ყუმბარსატყორცის 1500 მუხტი, 82 მ-იანი ნაღმსატყორცის 600 ნაღმი, დაახლოებით 350-მდე C-8 ტიპის უმართავი რაკეტული ჭურვი, 5,45 მ-იანი 124 ათასი ვაზნა ПС, მეგველი 43200 ვაზნა TC, 60 მ-იანი ნაღმსატყორცის 804 ნაღმი, დიდი რაოდენობით კარგები, ავტომატის დამატებითი მჭიდები, სათადარიგო ნაწილები და სხვა აღჭურვილობა. თუმცა, სეპარატიცტების ეს მონაცემები შეიძლება გაზვიადებულიც იყოს...

თეიმურ ჩაჩხანიძე



რუსი მედიანტეები სენაკის ბაზაზე

ერთი სეინერის საბრძოლო ნაოსნული

სეინერი თევზჭერით გემის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეობაა. ის რუწვისათვის ქიისებერ ბადეს იყენებს. აქვს ერთი გემბანი, თევზის მიღება-დამუშავებისათვის საჭირო 1-2 სამუშაო მოედანი და აღჭურვილია საქვალური მექანიზმებით. სეინერების წვალწევა 100-დან 400 ტონამდე ადის, ხოლო სიჩქარე 8-12 კვანძის ფარგლებში მერყეობს.

ეს მშვიდობიანი და ნელმაკალი გემი საბრძოლო დანიშნულების ხომალდებისაგან შორს დგას, მაგრამ შესაბამისად გადაკეთებულ-აღჭურვილი სეინერი ხაკიშოდ კარგი საშუალება ხდება, მას ამა თუ იმ სახის საბრძოლო თუ დამხმარე ამოცანის გადაჭრა შეუძლია.

I და II მსოფლიო ომებში ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში სამსახურით არაერთმა სეინერმა ისახელა თავი და ბევრად უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე დაამარცხა.

ქართული ფლოტის ისტორიაში გამორჩეული ადგილი სამუდამოდ დაიკავა სეინერმა „განთიადმა“, — ამ მშვიდობიანი გემის ბიოგრაფია 1992 წელსა შეცვალა.

აფხაზეთის სანაპირო წყლებში წლების განმავლობაში დაცურავდნენ ვაგონის თევზჭერი კოლმურნეობის კუთვნილი სეინერები „განთიადი“, „ორბი“, „აიკუნდა“, „გაგრა“, C4C-138, C4C-230, C4C-1297 და სხვები.

აფხაზეთში დაწვეული კონვლიქტის გამო სეინერების ერთი ნაწილი სეპარატისტებმა სამხედრო ფლოტის შესაქმნელად გამოიყენეს.

სხვები კი თევზჭრას განაგრძობდნენ, ხოლო „განთიადი“ ქართული ფლოტის სამსახურში ჩადგა. რატომ მისცემდნენ „განთიადი“? ალბათ, იმიტომ, რომ მის ეკიპაჟს სხვებთან შედარებით მეტი საბრძოლო სელისკვეთება აღმოაჩნდა და სამხედრო სამსახურით გამოწვეულ სიმძლევეს არ შეუშინდა.

ქვეყნის დამცველთა რიგებს შეუერთდნენ: კაპიტანი შუქრი კობალიანი, უფროსი მექანიკოსი როინ ხაიდიანი, II მექანიკოსი ვჟიმად არქიზია, მატროსები — როლანდ მიქაძე, ზურაბ ქარაია, ბონდო ნემსინვერიძე, ტრაიელ ჩაკვატაძე, ამირდო მიქიაშვილი, გერონტი კობალიანი, ვასილ ფონზუა და ბადრი კობალიანი.



2009 წლის აგვისტო, ფოთი — სეინერი „განთიადი“

„განთიადი“ C4C-225 პროექტით არის აგებული და 1983 წლიდან დაცურავს. მისი წვალწევა 183 ტონას, სიგრძე 26,5 მეტრს, სიგანე 6,5 მეტრსა და ბორტის სიმაღლე კი 3,05 მეტრს შეადგენს. საბრძოლო სიჩქარე 9,5 კვანძი და უტონომიურობა კი 6 დღეა.

1992 წლის ბოლოს „განთიადი“ სოხუმში შექურასთან, სამეცნიერო-საექვლე ინსტიტუტ „ატლოან“ დადგა და საქვალისტებმა ეკიპაჟთან ერთად სეინერის შეიარაღება დაიწყეს.

